

2018 წლის 29 მაისის
სსიპ საქართველოს ადვოკატთა
ასოციაციის აღმასრულებელი
საბჭოს სხდომის ოქმი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მისამართი:

თბილისი, ძმ. ზუბალაშვილების ქ. #33

სხდომის დაწყების დრო: 18:30

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ციცილო ცხვედიანი, მარიამ კუბლაშვილი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე.

დღის წესრიგი:

1. ასოციაციაში გაწევრიანება: ლევანი გოჩაშვილი, პავლე ჯუღელი, თეონა გვაზავა, დავით ედილაშვილი, სალომე კალაიჯიშვილი, თამთა წერეთელი, ხატია შანიძე, ნიკოლოზ ზურაბიშვილი, მურთაზ ზოდელავა, გვანცა არჩვაძე, ხატია გვრიტიშვილი, სალომე გიორგაძე, ინგა ნათელაური, დურმიშხან ჟორჟოლიანი, თინათინ სარიშვილი, გიორგი გამხიტაშვილი, ელზა ბარამიძე, რამინი მაჭარაშვილი, თამარ აროხელიძე, ზურაბ მატკავა, გიორგი ცეცხლაძე, რუსუდან კერვალიშვილი, ნანა ოდიკაძე, სალომე არჩვაძე, გიორგი ხუროშვილი, ბორის

ჩოფლიანი, მარიამი ლევძე, მაია მწარიაშვილი. ნინო ციხისელი, თორნიკე კაპანაძე, ზაზა ქორიძე, მაია კოპალიანი.

2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება: ბადრი რამიშვილი
3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადებების გაცნობა: აკაკი მარტოლეკი, ლანა ლონდარიძე, ნინო ყიფიანი, ლანა კიკვაძე, ნინო კურცხალია, თამარი ქასრაშვილი, მარიამ თვაური, ნათია გორგილაძე, ზაზა მალუძე, ლაშა გამყრელიძე, თინათინ პაპიშვილი, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირები: მურთაზ სამუშია, გელა ბარამაშვილი, ანა გაგუა, გიორგი თაყაშვილი, დავით ჩხეიძე, ლევან ბოგველი, თათია ბარაქაძე, ზვიად კვაბიურიძე, ლელა ფრიდონიშვილი, ნინო ციციშვილი, გია თოთლაძე, თეონა გორდაძე, ოთარ გურული, ნატო ანთია, თინათინ ნიბლოშვილი
4. განგრძობადი იურიდიული განათლების წესებში ცვლილებების შეტანა *(მომხსენებელი ქეთევან თურაზაშვილი)*
5. ასოციაციის კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილების შეტანის თაობაზე
6. 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ განცხადებების განხილვა
7. კრიტერიუმების განსაზღვრა ინდივიდუალური მომართვის საფუძველზე საწევრო გადასახადის გადახდისგან გათავისუფლების შესახებ;
8. ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ
9. სხვადასხვა

საკითხი #1

წევრები გაეცნენ გასაწევრიანებელ პირთა განცხადებებს: ლევანი გოჩაშვილი, პავლე ჯუღელი, თეონა გვაზავა, დავით ედილაშვილი, სალომე კალაიჯიშვილი, თამთა წერეთელი, ხატია შანიძე, ნიკოლოზ ზურაბიშვილი, მურთაზ ზოდელავა, გვანცა

არჩვამე, ხატია გვრიტიშვილი, სალომე გიორგაძე, ინგა ნათელაური, დურმიშხან ჟორჯოლიანი, თინათინ სარიშვილი, გიორგი გამხიტაშვილი, ელზა ბარამიძე, რამინი მაჭარაშვილი, თამარ არობელიძე, ზურაბ მატკავა, გიორგი ცეცხლაძე, რუსუდან კერვალიშვილი, ნანა ოდიკაძე, სალომე არჩვამე, გიორგი ხუროშვილი, ბორის ჩოფლიანი, მარიამი ლევიძე, მაია მწარიაშვილი, ნინო ციხისელი, თორნიკე კაპანაძე, ზაზა ქორიძე, მაია კოპალიანი.

ზემოთაღნიშნული პირების ასოციაციაში გაწევრიანების საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად, წევრებმა ერთხმად მიიღეს

გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შემდეგ პირთა განცხადებები გაწევრიანების შესახებ: ლევანი გოჩაშვილი, პავლე ჯუღელი, თეონა გვაზავა, დავით ედილაშვილი, სალომე კალაიჯიშვილი, თამთა წერეთელი, ხატია შანიძე, ნიკოლოზ ზურაბიშვილი, გვანცა არჩვამე, ხატია გვრიტიშვილი, სალომე გიორგაძე, ინგა ნათელაური, დურმიშხან ჟორჯოლიანი, თინათინ სარიშვილი, გიორგი გამხიტაშვილი, ელზა ბარამიძე, რამინი მაჭარაშვილი, თამარ არობელიძე, ზურაბ მატკავა, გიორგი ცეცხლაძე, რუსუდან კერვალიშვილი, ნანა ოდიკაძე, სალომე არჩვამე, გიორგი ხუროშვილი, ბორის ჩოფლიანი, მარიამი ლევიძე, მაია მწარიაშვილი. **წევრობის შეჩერება:** ნინო ციხისელი, თორნიკე კაპანაძე, ზაზა ქორიძე, მაია კოპალიანი.

ასევე, “ადვოკატთა შესახებ” კანონის 21² მუხლის, მე-4 პუნქტის თანახმად, ნინო ციხისელს, თორნიკე კაპანაძეს, ზაზა ქორიძეს, მაია კოპალიანს შეუჩერდეთ წევრობა.

წევრები გაეცნენ მურთაზ ზოდელავას განაცხადს გაწევრიანების შესახებ. წევრები გაეცნენ წარმოდგენილ დოკუმენტს, რომლითაც დასტურდება, რომ საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 10 ოქტომბრის დადგენილებით მურთაზ ზოდელავა არჩეულ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრად.

საკითხის განხილვისას აღინიშნა, რომ 2018 წლის 04 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონში შეტანილ იქნა ცვლილებები; მათ შორის, ცვლილება შეეხო კანონის მე-10 მუხლის მე-4 პუნქტს, რომლითაც გაუქმდა აქამდე მოქმედი რედაქცია, როლელიც ითვალისწინებდა, რომ *მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა არ ვრცელდებოდა პირზე, რომელსაც ეკავა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის თანამდებობა*“.

შესაბამისად, “ადვოკატთა შესახებ” კანონის მოქმედი რედაქცია არ ითვალისწინებს იუსტიციის საბჭოს წევრის სტატუსის მქონე პირის გათავისუფლებას ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ან მოსამართლეთა/პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების ვალდებულებისგან და აქედან გამომდინარე, რადგან განმცხადებელს - მურთაზ ზოდელავას არ აქვს წარმოდგენილი ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ან მოსამართლეთა/პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერტიფიკატი, იგი ვერ აკმაყოფილებს ასოციაციაში გაწევრიანებისთვის საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის, „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილ მოთხოვნას, შესაბამისად, მისი განაცხადი არ ექვემდებარება დაკმაყოფილებას.

მურთაზ ზოდელავას ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე -0, წინააღმდეგი 10), მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: არ დაკმაყოფილდეს მურთაზ ზოდელავას განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე; განმცხადებელს წერილობით ეცნობოს გადაწყვეტილების და მისი გასაჩივრების თაობაზე.

საკითხი #2:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების მსურველი ბადრი რამიშვილის განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ზემოთხსენებულ პირის მიერ წარმოდგენილი განცხადება თანდართული საჭირო დოკუმენტებით შესაბამისობაშია საქართველოს „კანონის ადვოკატთა“ შესახებ, მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

მსჯელობის შემდეგ, აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” კანონის, მე-10 მუხლის თანახმად, ბადრი რამიშვილის მიერ ხელახლა გაწევრიანებისთვის წარმოდგენილი განცხადება დაკმაყოფილდეს.

საკითხი #3:

წევრები გაეცნენ ადვოკატთა შესახებ კანონის 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ: აკაკი მარტოლევი, ლანა ლონდარიძე, ნინო ყიფიანი, ლანა კიკვაძე, ნინო კურცხალია, თამარი ქასრაშვილი, მარიამ თვაური, ნათია გორგილაძე, ზაზა მალუძე, ლაშა გამყრელიძე, თინათინ პაპიშვილი, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირები: მურთაზ სამუშია, გელა ბარამაშვილი, ანა გაგუა, გიორგი თაყაშვილი, დავით ჩხეიძე, ლევან ბოგველი, თათია ბარაქაძე, ზვიად კვაბზირიძე, ლელა ფრიდონიშვილი, ნინო ციციშვილი, გია თოთლაძე, თეონა გორდაძე, ოთარ გურული, ნატო ანთია, თინათინ ნიბლოშვილი

წევრებმა განაცხადეს, რომ ჩამოთვლილ პირთაგან, რომელთაც ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის თანახმად, 2017-2018 წლების საწევრო აქვთ გადასახდელი, ეცნობოთ, რომ საქართველოს კანონის ადვოკატთა შესახებ, 21² მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, აღმასრულებელი საბჭო ვალდებულია მიიღოს გადაწყვეტილება ადვოკატისთვის წევრობის შეჩერების შესახებ. თუმცა წევრობის შეჩერება მანამდე არსებული დავალიანების გაუქმების საფუძველი არ არის და ამავე კანონის 21³ მუხლის პირველი პუნქტის, „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, საწევრო გადასახადის გადაუხდელობის შემთხვევაში, პირს შეუწყდება ასოციაციის წევრობა. გარდა ამისა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, არსებობს 2012 წლის 30 მაისის ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმად:

“საწევრო დავალიანების მქონე პირს, რომელიც მომართავს ასოციაციას პირადი განცხადებით, წევრობის შეჩერების შესახებ, საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის წევრობა შეუჩერდება ამ კანონის 21³ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით, ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით), „ა“ ქვეპუნქტის (პირადი განცხადების საფუძველზე) თანახმად, დაუკმაყოფილდეს განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ; თუმცა წევრობის შეჩერება არ გახდება უკვე არსებული საწევრო დავალიანებისგან გათავისუფლების საფუძველი, რომლის გადახდის ვალდებულება პირს წევრობის შეჩერებამდე, ადვოკატთა ასოციაციის წესდების 29-ე მუხლის, 29.3 პუნქტის (ყოველი მომდევნო წლის საწევრო შენატანის გადახდა ხდება ყოველიურად, მიმდინარე წლის 31 დეკემბრამდე) თანახმად წარმოეშვა. საწევრო დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში, უფლებამოსილება შეჩერებულ ადვოკატს, “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21³ მუხლის, 1 პუნქტის (ადვოკატს ადვოკატთა ასოციაციის

წევრობა შეუწყდება), „ზ“ ქვეპუნქტის (თუ არ იხდის საწევრო გადასახადს) თანახმად, შეუწყდება ასოციაციის წევრობა“.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული:

გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ კანონის, 21² მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს ზემოთჩამოთვლილ შემდეგ პირთა განცხადება წევრობის შეჩერების შესახებ: აკაკი მარტოლევი, ლანა ლონდარიძე, ნინო ყიფიანი, ლანა კიკვაძე, ნინო კურცხალია, თამარი ქასრაშვილი, მარიამ თვაური, ნათია გორგილაძე, ზაზა მალუძე, ლაშა გამყრელიძე, თინათინ პაპიშვილი, მურთაზ სამუშია, გელა ბარამაშვილი, ანა გაგუა, გიორგი თაყაშვილი, დავით ჩხეიძე, ლევან ბოგველი, თათია ბარაქაძე, ზვიად კვაბზირიძე, ლელა ფრიდონიშვილი, ნინო ციციშვილი, გია თოთლაძე, თეონა გორდაძე, ოთარ გურული, ნატო ანთია, თინათინ ნიბლოშვილი. ამასთან, 2017-2018 წლების საწევრო დავალიანების მქონე პირებს: მურთაზ სამუშია, გელა ბარამაშვილი, ანა გაგუა, გიორგი თაყაშვილი, დავით ჩხეიძე, ლევან ბოგველი, თათია ბარაქაძე, ზვიად კვაბზირიძე, ლელა ფრიდონიშვილი, ნინო ციციშვილი, გია თოთლაძე, თეონა გორდაძე, ოთარ გურული, ნატო ანთია, თინათინ ნიბლოშვილი წერილობით ეცნობოთ ინფორმაცია მათ მიმართ არსებული საწევრო დავალიანების და 2012 წლის 30 მაისის აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილების შესახებ, აგრეთვე იმის შესახებ, რომ დავალიანების გადაუხდელობის შემთხვევაში მათ შეუწყდებათ წევრობა.

საკითხი #4:

წევრებმა მოისმინეს სასწავლო ცენტრის დირექტორის - ქეთევან თურაზაშვილის მოხსენება განგრძობადი იურიდიული განათლების წესებში ცვლილებების შეტანის შესახებ, რომლის თანახმად ცვლილებები შეეხო მე-3 მუხლის 3.2. და 3.4 პუნქტებს, 3.5 პუნქტი შეიცვალა 2.3 პუნქტის ახალი ფორმულირებით; ასევე, შეიცვალა მე-5 მუხლის და მე -7 მუხლის 7.2 პუნქტის ფორმულირებები (დანართი #1).

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ ცვლილებების პროექტს. მათი მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დამტკიცდეს განგრძობადი იურიდიული განათლების წესებში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით (დანართი #1).

ასევე, სასწავლო ცენტრის დირექტორმა წევრებს გააცნო აკრედიტაციის წესში შესატანი ცვლილება, რომელიც ეხებოდა აკრედიტაციის მიღებისთვის საჭირო საბუთების ნაწილში არსებულ ფორმულირებას: *(განაცხადი ივსება ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს სახელზე. საგანმანათლებლო საბჭო იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია)*, რომელსაც დაემატა ფრაზა „ან ტრენერთან გასაუბრება“.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა. აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება აკრედიტაციის წესებში და აკრედიტაციის მიღებისთვის საჭირო საბუთების ნაწილში არსებული ფორმულირება განისაზღვროს შემდეგნაირად: „განაცხადი ივსება ადვოკატთა ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს სახელზე. საგანმანათლებლო საბჭო იტოვებს უფლებას მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია ან ტრენერთან გასაუბრება“.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია ასოციაციის საგანმანათლებლო საბჭოს მიერ რეკომენდირებულ შპს “სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტის” განაცხადის თაობაზე, ხუთ ტრენინგ-მოდულზე აკრედიტაციის მინიჭებასთან დაკავშირებით:

1. სამოქალაქო პროცესის აქტუალური საკითხები;
2. სახელშეკრულებო სამართალი;
3. საგადასახადო სამართალი;
4. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი;
5. ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრით, წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს შპს “სამართლებრივი განვითარების ინსტიტუტის” განაცხადი და აკრედიტაცია მიენიჭოს წარმოდგენილ საგანმანათლებლო თემებს:

1. სამოქალაქო პროცესის აქტუალური საკითხები;
2. სახელშეკრულებო სამართალი;
3. საგადასახადო სამართალი;
4. ინტელექტუალური საკუთრების სამართალი;
5. ხელშეკრულების შედგენის მეთოდიკა.

საკითხი #5:

წევრები გაეცნენ იმერეთის კულტურის და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, ასევე თბილისის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის, სამოქალაქო სამართლის კომიტეტის, უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციულ საკითხთა კომიტეტის, ფინანსური მდგრადობის და მონიტორინგის კომიტეტის, ადმინისტრაციული სამართლის და სოციალური დაცვის კომიტეტების თავმჯდომარეების მიმართვებს, კუთვნილი კომიტეტების შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

კერძოდ, წარმოდგენილი წერილობითი მიმართვების თანახმად, იმერეთის კულტურის და სპორტის კომიტეტის შემადგენლობაში ბექა ხონელიძის ნაცვლად წარმოდგენილი იყო თამარ ზაქარაშვილის კანდიდატურა; თბილისის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის შემადგენლობაში ნინო კვეტენაძის და დავით საფარიძის ნაცვლად წარმოდგენილი იყო ინგა ბერიძის და ნატო პაპუაშვილის კანდიდატურები; თბილისის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის შემადგენლობაში მოწვეული წევრის სტატუსით წარდგენილი იყო ალექსანდრე ამაშუკელის კანდიდატურა; უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციული საკითხების კომიტეტის შემადგენლობაში წარმოდგენილი იყო ანა ჯალაღონიას კანდიდატურა; ფინანსური მდგრადობის და მონიტორინგის კომიტეტის შემადგენლობას ტოვებდა სესილი ქადარია და მისი კანდიდატურა მოწვეული წევრის სტატუსით წარმოდგენილი იყო თბილისის ადმინისტრაციული და საგადასახადო სამართლის კომიტეტის შემადგენლობაში, ხოლო თბილისის სოციალური დაცვის კომიტეტის შემადგენლობაში მოწვეული წევრების სტატუსით წარმოდგენილი იყო დიანა მარტიაშვილის და გიორგი იასაშვილის კანდიდატურები.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული ცვლილებების მიზანი იყო კომიტეტების მუშაობის ეფექტურობის გაზრდა, რადგან ზემოხსენებული კომიტეტების ზოგიერთი წევრი ვერ ახერხებდა კომიტეტების მუშაობის პროცესში აქტიურ მონაწილეობას, რამაც გამოიწვია ხსენებულ შემადგენლობებში ცვლილებების შეტანა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ზემოხსენებული კომიტეტების თავმჯდომარეების განცხადებები და დამტკიცდეს:

ა) თამარ ზაქარაშვილის კანდიდატურა იმერეთის კულტურის და სპორტის კომიტეტის შემადგელობაში;

ბ) ინგა ბერიძის და ნატო პაპუაშვილის კანდიდატურები თბილისის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის შემადგელობაში;

გ) ალექსანდრე ამაშუკელის კანდიდატურა (მოწვეული წევრის სტატუსით) თბილისის სამოქალაქო სამართლის კომიტეტის შემადგენლობაში;

დ) ანა ჯალაღონიას კანდიდატურა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციულ საკითხთა კომიტეტის შემადგენლობაში;

ე) სესილი ქადარიას კანდიდატურა თბილისის ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტის შემადგენლობაში;

ვ) დიანა მარტიაშვილის და გიორგი იასაშვილის კანდიდატურები (მოწვეული წევრების სტატუსით) თბილისის სოციალური დაცვის კომიტეტის შემადგენლობაში.

ასევე, დღის წესრიგის აღნიშნული საკითხი მოიცავდა თბილისის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თანა-თავმჯდომარეობის პოზიციაზე კანდიდატურის დამტკიცებას. კომიტეტის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი იყო ორი კანდიდატურა: მალხაზ ჭანკოტაძე და თამთა აშორტია.

წევრებმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილების მისაღებად, მათ მიზანშეწონილად მიაჩნიათ ხსენებული კანდიდატების პროფესიული ბიოგრაფიების გაცნობა და რადგან სხდომაზე არ არის წამოდგენილი აღნიშნული ინფორმაცია, სასურველია დღის წესრიგიდან მოიხსნას ზემოხსენებული საკითხი და მისი განხილვა გადაიდოს მომდევნო სხდომისთვის.

ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: თბილისის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თანა-თავმჯდომარეობის პოზიციაზე კანდიდატის დამტკიცების შესახებ საკითხი მოიხსნას სხდომის დღის წესრიგიდან. აღნიშნული საკითხი მომზადდეს მომდევნო სხდომაზე განსახილველად.

საკითხი #6

თავმჯდომარემ წევრებს წარუდგინა ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებები 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ:

ნინო გუგუჩია, რამაზ კაკუშაძე, დავით ცინცვილაძე, ავთანდილ ბერძენიშვილი, ნატო ჯაფარიძე, ლელა შავიძე, გვანცა გუგუშვილი, დიანა მარტიაშვილი, ნაზი დოთიაშვილი, ფრიდონ მალრაძე, ეკატერინე ამირანაშვილი, ირაკლი გუნიავა, მანანა ჩაჩანიძე, თენგიზ თევზაძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნიკოლოზ ზაქარაია, თამარა იასეშვილი, ვლადიმერ კიკნაძე, ავთანდილ ბერძენიშვილი, მერაბ კობახიშვილი, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, თინათინ მუმლაძე, მურმან ქამადაძე, მამუკა ტივიშვილი, ალიკო დადიანი, დარეჯან მალლაკელიძე, რუსუდან კვინიკაძე, მარიამ შავერდაშვილი, ზურაბ ქსოვრელი, ოლეგ ფრანგიშვილი, გულნარა ჯიმშელაძე, კესარია ცარციძე, გულნარა ანდლულაძე, იზა წულაია, ნინო მოსეშვილი, ანა ჟღენტი, ნინო კაკაურიძე, ციური ნონიკაშვილი, ლიკა ქარჩავა, მაია სირაძე, ლალი ბუნტური, გაიოზ ჩარკვიანი, ვაჟა სუხიტაშვილი, ლელა აბაშაძე, რუსუდან ფიფია, ლაშა გოლუბიანი, ირაკლი ზაქარიაძე, მაია ნიკოლაშვილი, ზაქარია თვალთაშვილი, კარლო სიჭინავა, მანანა რეხვიაშვილი, გივი ექვთიმიშვილი, მაია ნინუა, მაკა ჭელიძე, ლევან ჯოხაძე, თეონა ფერაძე, თემურ გიკაშვილი, მზია გიორგაძე, მარიამ დარისპანაშვილი, პეტრე ბალახაშვილი, ზაალ ქადაგიშვილი, ლალი ჩირიკაშვილი, ილია ნაცვლიშვილი, ლია ცინდელიანი, მზია ფალავანდიშვილი, ნატო მამულაშვილი, ლიდა ონიანი, ქეთევან ინაშვილი, შორენა ცქიფურიშვილი, ლევან ბოგველი, ზურაბ ქსოვრელი, მარო ღანიშაშვილი, ბელა ბაშარაძე, დარეჯან მამულაშვილი, თამუნა ძაძუა, ინგა ბოლოთაური, სოფიო ჩირგაძე, ლამარა ბზიშვილი, ალექსი კობაძე, ლიანა ბერიანიძე, მაია სირაძე, ნანა როსტიაშვილი, ნონა ალანია, ნინო კაკაურიძე, ნუგზარ ჩუხუა, სოფიო სოხაძე, კესარია ცარციძე, მიხეილ რამიშვილი, ზაზა მჟავია, თეა ცუხიშვილი, გიორგი ლიპარტელიანი, გოჩა ნიკოლეიშვილი, ვერა დობორჯგინიძე, მაკა სალხინაშვილი, თინათინ დვალი, ნაირა ჯუკაშვილი, ირაკლი ჯიბლაძე, ნიკოლოზ შუბლაძე, ვასილ ლოხიშვილი, ხვიჩა ნიკოლეიშვილი, კახაბერ იოსელიანი, ალექსანდრე მეკვიძე, დავით ჩალაძე, მაია გოგლიძე, იასონ ხარაბაძე, ვლადიმერ ბეროშვილი.

წევრებმა განაცხადეს, რომ რადგან მოცემული მდგომარეობით არ არსებობს დადგენილი კონკრეტული კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც მოხდებოდა აღნიშნული განცხადებების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება, ხოლო ასოციაციაში აქამდე არსებობდა ყველა მსგავსი განცხადების დაკმაყოფილების პრაქტიკა, საბჭო თვლის, რომ ყველა წარმოდგენილი განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს განცხადებებში მითითებული შესაბამისი მოთხოვნების მიხედვით, მაგრამ ამავდროულად, მოკლე ვადაში შემოდებულ უნდა იქნას საწევრო შეღავათების გავრცელების კონკრეტულად განსაზღვრული სამართლიანი კრიტერიუმები.

მარიამ კუბლაშვილმა განაცხადა, რომ იგი თავს შეიკავებს განცხადებების დაკმაყოფილებაზე ხმის მიცემისგან, რადგან თვლის, რომ გარკვეულწილად არათანაბარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ასოციაციის სხვა წევრები. თუმცა, ის მხარს უჭერს ზემოხსენებული კრიტერიუმების შემოღებას.

აღნიშნულ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება გამოთქვა მამუკა ნოზაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ იგი არასერიოზულად და არაპროფესიულად მიიჩნევს კოლეგების მხრიდან მსგავს მოთხოვნას, განსაკუთრებით კი აღმამფოთებელია ერთი და იგივე განმცხადებლის მიერ განმეორებით მომართვის ფაქტები. მან განაცხადა, რომ რადგან არ არსებობს დადგენილი კრიტერიუმები, ამ ეტაპზე, ის მხარს დაუჭერს აღნიშნული განცხადებების დაკმაყოფილებას იმ დათქმით, რომ განისაზღვროს კონკრეტული კრიტერიუმები და შესაბამისი დოკუმენტის წარმოდგენის საფუძველზე მოხდეს განცხადებების სამართლიანად განხილვა მომავალში.

ადვოკატთა ინდივიდუალური განცხადებების დაკმაყოფილების თაობაზე 2017-2018 წლების საწევრო გადასახადისგან გათავისუფლება/გადავადების შესახებ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად (მომხრე: 9 დავით ასათიანი (თავმჯდომარე), მამუკა ნოზაძე, ციცილო ცხვედიანი, გიორგი თევზაძე, ზურაბ როსტიაშვილი, ირაკლი ყანდაშვილი, დათუნა მოდებაძე, გიორგი ტურაზაშვილი, ნათია კორკოტაძე, ხმის მიცემისგან თავი შეიკავა 1 - მარიამ კუბლაშვილმა), მიღებულ იქნა

გადაწყვეტილება:

ა) დაკმაყოფილდეს სხდომაზე წარმოდგენილი განცხადებები (ნინო გუგუჩია, რამაზ კაკუშაძე, დავით ცინცქილაძე, ავთანდილ ბერძენიშვილი, ნატო ჯაფარიძე, ლელა შავიძე, გვანცა გუგეშაშვილი, დიანა მარტიაშვილი, ნაზი დოთიაშვილი, ფრიდონ მალრაძე, ეკატერინე ამირანაშვილი, ირაკლი გუნიავა, მანანა ჩაჩანიძე, თენგიზ თევზაძე, ავთანდილ საყვარელიძე, ნიკოლოზ ზაქარაია, თამარა იასეშვილი, ვლადიმერ კიკნაძე, ავთანდილ ბერძენიშვილი, მერაბ კობაჩიშვილი, ალექსანდრე ბოჭორიშვილი, თინათინ მუმლაძე, მურმან ქამადაძე, მამუკა ტივიშვილი, ალიკო დადიანი, დარეჯან მაღლაკელიძე, რუსუდან კვინიკაძე, მარიამ შავერდაშვილი, ზურაბ ქსოვრელი, ოლეგ ფრანგიშვილი, გულნარა ჯიმშელაძე, კესარია ცარციძე, გულნარა ანდლულაძე, იზა წულაია, ნინო მოსეშვილი, ანა ჟღენტა, ნინო კაკაურიძე, ციური ნონიკაშვილი, ლიკა ქარჩავა, მათა სირაძე, ლალი ბუნტური, გაიოზ ჩარკვიანი, ვაჟა სუხიტაშვილი, ლელა აბაშაძე, რუსუდან ფიფია, ლაშა გოლუბიანი, ირაკლი ზაქარიაძე, მათა ნიკოლაშვილი,

ზაქარია თვალთმომხილი, კარლო სიჭინავა, მანანა რეხვიაშვილი, გივი ექვთიმიშვილი, მათა ნინუა, მაკა ჭელიძე, ლევან ჯობაძე, თეონა ფერაძე, თემურ გიკაშვილი, მზია გიორგაძე, მარიამ დარისპანაშვილი, პეტრე ბალახაშვილი, ზაალ ქადაგიშვილი, ლალი ჩირიკაშვილი, ილია ნაცვლიშვილი, ლია ცინდელიანი, მზია ფალავანდიშვილი, ნატო მამულაშვილი, ლიდა ონიანი, ქეთევან ინაშვილი, შორენა ცქიფურიშვილი, ლევან ბოგველი, ზურაბ ქსოვრელი, მარო ღანიშაშვილი, ბელა ბაშარაძე, დარეჯან მამულაშვილი, თამუნა ძაძუა, ინგა ბოლოთაური, სოფიო ჩირგაძე, ლამარა ბზიშვილი, ალექსი კობაძე, ლიანა ბერიანიძე, მათა სირაძე, ნანა როსტიაშვილი, ნონა ალანია, ნინო კაკაურიძე, ნუგზარ ჩუხუა, სოფიო სოხაძე, კესარია ცარციძე, მიხეილ რამიშვილი, ზაზა მჭავია, თეა ცუხიშვილი, გიორგი ლიპარტელიანი, გოჩა ნიკოლეიშვილი, ვერა დობორჯგინიძე, მაკა სალხინაშვილი, თინათინ დვალი, ნაირა ჯუკაშვილი, ირაკლი ჯიბლაძე, ნიკოლოზ შუბლაძე, ვასილ ლოხიშვილი, ხვიჩა ნიკოლეიშვილი, კახაბერ იოსელიანი, ალექსანდრე მეკვიძე, დავით ჩალაძე, მათა გოგლიძე, იასონ ხარაბაძე, ვლადიმერ ბეროშვილი) მითითებული მოთხოვნების შესაბამისად. გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოთ განცხადებების ავტორებს.

საკითხი #7

თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ასოციაციაში აქამდე არსებული პრაქტიკა საწევრო გადასახადის გადახდის ვალდებულებისგან წევრების გათავისუფლების შესახებ საჭიროებს დარეგულირებას; კერძოდ, აუცილებელია, კონკრეტული და სამართლიანი კრიტერიუმების განსაზღვრა, რომელიც მომავალში იქნება გამოყენებული მსგავსი განცხადებების განხილვის დროს. თავმჯდომარემ მიმართა წევრებს, მოემზადებინათ წინადადებები ამ თვალსაზრისით.

მამუკა ნოზაძემ განაცხადა, რომ მას უკვე მოაზრებული ჰქონდა სავარაუდო კრიტერიუმები, რომლის შესაბამისობაშიც მოხდებოდა განცხადებების განხილვა მომავალში, კერძოდ:

1. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული პირები;
2. მრავალშვილიანი (4 შვილი და მეტი) სტატუსის მქონე პირები;
3. სტიქიური უბედურების შედეგად დაზარებული სტატუსის მქონე პირები;
4. მარტოხელა დედის სტატუსის მქონე პირები;

5. ქ. თბილისში 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართულ მშვიდობიანი აქციის დარბევის დროს დაზარალებულ პირები

წევრებმა განაცხადეს, რომ ისინი მიესალმებიან აღნიშნულ წინადადებას და გამოთქვენ მზადყოფნა ხსენებული საკითხის განსახილველად.

ამ მიზნით, თავმჯდომარის მიერ ეთხოვა ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს, საწევრო გადასახადის გადახდისგან ადვოკატების გათავისუფლების თაობაზე სპეციალური რეგულაციების შემუშავება, წევრების მოსაზრებების გათვალისწინებით და მისი გონივრულ ვადაში წარმოდგენა.

აღნიშნულ საკითხზე წევრების მიერ ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: ასოციაციის აღმასრულებელ მდივნის მიერ გონივრულ ვადაში მომზადებულ და წარმოდგენილ იქნას საწევრო გადასახადის გადახდისგან ადვოკატების გათავისუფლების თაობაზე დებულება (წესი), სხდომაზე გამოთქმული მოსაზრებების და დასახელებული კრიტერიუმების გათვალისწინებით.

საკითხი #8:

წევრებმა მოისმინეს ასოციაციის აღმასრულებელი მდივნის მოხსენება ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში ცვლილების შეტანის შესახებ; კერძოდ, გ. ჭეხანმა განაცხადა, რომ ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სხვადასხვა ხარჯებისთვის განკუთვნილი თანხა ამოიწურა, რომელიც მიზანმიმართულად მოხმარდა ასოციაციის დაზიანებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას და ახალი ტექნიკური ინვენტარის შეძენას ასოციაციის აპარატის თანამშრომლებისთვის. აქედან გამომდინარე, საჭიროა ბიუჯეტში ცვლილების შეტანა, რაც გულისხმობს ზემო აღნიშნულ პუნქტში 15 000 ლარის დამატებას.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: შევიდეს ცვლილება ასოციაციის 2018 წლის ბიუჯეტში და მისი ხარჯვითი ნაწილის “სხვადასხვა ხარჯებისთვის” განკუთვნილი პუნქტი გაიზარდოს 15 000 (თხუთმეტი ათასი ლარით).

საკითხი #9:

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო თავისი ინიციატივა, რომელიც გულისხმობდა ასოციაციაში არსებული თბილისის კომიტეტების საკურატორო სფეროებად გადანაწილებას საბჭოს წევრებს შორის.

მან განმარტა, რომ აღნიშნული ინიციატივა მოიაზრებს წევრების მიერ კომიტეტების საქმიანობის ერთგვარ მონიტორინგს, რაც ემსახურება კომიტეტების ფუნქციონირების ეფექტურობის გაზრდას, თუმცა ისინი არ არიან შეზღუდულები და დაინტერესების მიხედვით შეუძლიათ გაეცნონ კონკრეტული კომიტეტის საქმიანობას.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა წინადადება საკურატორო კომიტეტების შემდეგი სახით გადანაწილების შესახებ:

1. **დავით ასათიანი** - საერთაშორისო თანამშრომლობის და საზოგადოებრივ ურთიერთობათა კომიტეტი; ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტი;
2. **გიორგი თევზაძე** - პრო ბონო სერვისების განვითარების და ადვოკატთა სოციალური დაცვის კომიტეტები;
3. **ტარიელ კაკაბაძე** - ადმინისტრაციული სამართლის კომიტეტი; უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის და ანტიკორუფციულ საკითხთა კომიტეტი;
4. **ნათია კორკოტაძე** - ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი; მართლმსაჯულების და სასამართლო რეფორმების კომიტეტი;
5. **ზვიად კორძაძე** - დავის ალტერნატიული გადაწყვეტის კომიტეტი (ADR);
6. **მარიამ კუბლაშვილი** - ინტელექტუალური საკუთრების სამართლის კომიტეტი; კულტურულ და სპორტულ ღონისძიებათა კომიტეტი;
7. **დათუნა მოდებაძე** - საგანმანათლებლო საბჭო; სისხლის სამართლის კომიტეტი;
8. **მამუკა ნოზაძე** - ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი; ადვოკატთა სოციალური დაცვის და ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტები;
9. **ზურაბ როსტიაშვილი** - ფინანსური მდგრადობის და მონიტორინგის კომიტეტი; რეგიონებთან ურთიერთობის კომიტეტი;
10. **გიორგი ტურაზაშვილი** - საგანმანათლებლო საბჭო; არასამათავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კომიტეტი;
11. **ირაკლი ყანდაშვილი** - საგანმანათლებლო საბჭო; კომერციული და კონკურენციის სამართლის კომიტეტი; მედიაციის განვითარების კომიტეტი.

12. **ციცინო ცხვედიანი** - ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდი; სამოქალაქო სამართლის და შრომის სამართლის კომიტეტები.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საკურატორო კომიტეტები სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ასოციაციის წევრებისთვის მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებზე მსჯელობის მიზნით, სასურველია, აღმასრულებელი საბჭოს ჩართულობითა და თავმჯდომარის უშუალო მონაწილეობით შეიქმნას “ადვოკატთა სათათბირო ჯგუფი”, სადაც მოხდება პროფესიის წინაშე მდგარი პრობლემების განხილვა, უზრუნველყოფილი იქნება ადვოკატთა ფართო ჩართულობა და დისკუსიების თემატიკა არ იქნება შეზღუდული.

წევრებმა მოისმინეს თავმჯდომარის ინიციატივა და განაცხადეს, რომ ისინი მიესალმებიან ამ სიახლეს და მზად არიან აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციაში შეიქმნას “ადვოკატთა სათათბირო ჯგუფი”, რომელიც მომართვის შემთხვევაში იმსჯელებს პროფესიისათვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე. დაევალოს ასოციაციის აღმასრულებელ მდივანს აღნიშნული ჯგუფის დებულების პროექტის შემუშავება.

საბჭოს წევრმა ირაკლი ყანდაშვილმა წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ თბილისის კულტურული და სპორტული ღონისძიებების კომიტეტის თავმჯდომარე - ანა ჯალაღონია გამოირჩევა განსაკუთრებული ენთუზიაზმით და აქტიურობით. მიმდინარე წლის განმავლობაში, მისი ორგანიზებით წარმატებულად განხორციელდა სხვადასხვა ფორმატის კულტურული თუ სპორტული ღონისძიება. ამდენად, ი. ყანდაშვილს მიზანშეწონილად მიაჩნია, ანა ჯალაღონიას მიმართ ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-15 მუხლის, „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად წამახალისებელი ღონისძიების გამოყენება.

თავმჯდომარის და წევრების მხრიდან გაზიარებულ იქნა აღნიშნული მოსაზრება და ერთხმად იქნა მიღებული

გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის წესდების მე-15 მუხლის, „ც“ ქვეპუნქტის თანახმად, კულტურული და სპორტული ღონისძიებების კომიტეტის თავმჯდომარეს - ანა ჯალაღონიას გადაეცეს სიგელი და სიმბოლური საჩუქარი.

თავმჯდომარემ წევრებს გააცნო ინფორმაცია, რომ მიმდინარე წლის 01 ივნისს, 16:00 საათზე ასოციაციაში გაიმართება ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას მიერ დაფუძნებული ადვოკატთა სკოლის კურსდამთავრებულთა დაჯილდოების ცერემონია. ასევე, წევრებს მიაწოდა სასიამოვნო სიახლე, რომ დიმიტრი გაბუნიას სურვილია, ზემოხსენებული სკოლის საგანმანათლებლო ღონისძიებების მოდულები და პრაქტიკული გამოცდილება გადაეცეს ადვოკატთა ასოციაციას, რადგან უახლოეს პერიოდში, ასოციაციის ბაზაზე დაგეგმილია “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აკადემიის” შექმნა პროფესიული ადაპტაციის პროგრამის განხორციელების მიზნით.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია. მათი მხრიდან დადებითად იქნა შეფასებული ადვოკატ დიმიტრი გაბუნიას აღნიშნული ინიციატივა.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. #6).

დავით ასათიანი

სსიპ საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის თავმჯდომარე